



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 30 დეკემბერი

დისციპლინური საქმე №84/19
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

--- 2019 წლის 10 მაისის №84 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 31 მაისის №247/84-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ --- 2019 წლის 10 მაისის №84 საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 05 ივნისის №256/84-03 წერილით განხორციელდა საქმის მასალების ასლების გამოთხოვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 10 ივნისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მან სარჩელით მიმართა --- სასამართლოს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით. მოსამართლე --- არ მიიღო სარჩელი წარმოებაში. აღნიშნული განჩინება --- გაასაჩივრა --- სააპელაციო სასამართლოში. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი იყო იოლი გადასაწყვეტი, მოსამართლე --- გააჭიანურა საქმის განხილვა.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2018 წლის 24 სექტემბერს --- (წარმომადგენელი, ---) სარჩელით მიმართა --- სასამართლოს და მოითხოვა, მასსა და --- შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---.

2018 წლის 26 სექტემბრის განჩინებით --- უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე.

2.2. აღნიშნული განჩინება სარჩელის ავტორმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა 2018 წლის 08 ოქტომბერს. 2018 წლის 17 ოქტომბერს კერძო საჩივარი განსახილველად გადაეცა --- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს, ---. 2018 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით კერძო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

2019 წლის 19 მარტის განჩინებით --- უარი ეთქვა კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

2.3. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მოსამართლე -- -- 2018 წელს, 2017 წლის ნაშთის სახით, განსახილველად გადაეცა 47 სააპელაციო საჩივარი, 25 კერძო საჩივარი და 40 საარბიტრაჟო დავა (სულ 112 საქმე). 2018 წელს მოსამართლე -- -- განსახილველად გადაეცა 161 სააპელაციო საჩივარი, 130 კერძო საჩივარი და 39 საარბიტრაჟო დავა (სულ 330 საქმე). განსახილველად გადაცემული 442 საქმიდან -- -- 2018 წელს განიხილა 105 სააპელაციო საჩივარი, 78 კერძო საჩივარი და 62 საარბიტრაჟო დავა (55%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 10 ივნისის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ - მუხლის მე-2 პუნქტი (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ - მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ („საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების“) ქვეპუნქტით (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავს თუ არა მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“.

აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვადლევეს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

ამდენად, მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული საინტერესოა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (*Katte Klitsche de la Grande v. Italy*, 55; *Papachelas v. Greece*, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (*H. V. United Kingdom*, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (*Human v. Poland*, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (*Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania*, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*Koenig v. Germany*, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaviva v. France*, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ

საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, 93; Tiece v. San Marino, 31; Suermeli v. Germany, 129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, 98).

მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მოსამართლე გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას.“ იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა.“ იმავე კოდექსის 419-ე მუხლის შესაბამისად, „კერძო საჩივრის თაობაზე განჩინება გამოაქვს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კერძო საჩივრის მიღებიდან 2 თვის ვადაში.“

მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება მოსამართლის მიერ კერძო საჩივრის განხილვის კანონით გათვალისწინებული ვადის დარღვევას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ --- 2018 წლის 26 სექტემბრის პირველი ინსტანციის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა 2018 წლის 08 ოქტომბერს. საქმე 2018 წლის 17 ოქტომბერს განსახილველად გადაეცა მოსამართლე ---. 2019 წლის 19 მარტის განჩინებით --- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამდენად, მოსამართლე --- კერძო საჩივარს განიხილავდა 5 თვის განმავლობაში, კანონით გათვალისწინებული 2 თვიანი ვადის 3 თვის დარღვევით. მოსამართლის დატვირთულობის გათვალისწინებით, საქმის განხილვის ვადის 3 თვით გაჭიანურება არ შეიძლება ჩაითვალოს საქმის განხილვის არაგონივრულ ვადად და შესაბამისად, მოსამართლის ეს ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს --- №-- გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, -- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე --- გათავისუფლდა თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ --- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2019 წლის 10 მაისის №84 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლე -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი